

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 შ.პ.ს. თანამედროვე განათლების აკადემია (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 1996წ 18 ივლისი ს.ნ 204861596

კომპანიის დამფუძნებლები:

ლევან ჯაფარიძე პ.ნ. 01008007062

ზურაბ ჯაფარიძე პ.ნ. 01009004827

კახაბერ ჯაფარიძე პ.ნ. 01013010554

კომპანიის გენერალური დირექტორი: ლევან ჯაფარიძე პ.ნ. 01008007062

იურიდიული და ფაქტიური მისამართი: თბილისი, ლ.მიქელაძის 4

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 159900 ლარს

1.2 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

საკუთარი არასაცხოვრებელი შენობის გაქირავება

ადრეული და სკოლამდელი განათლება(საბავშვო ბაგა-ბაღი)

ზოგადი საბაზო და საშუალო განათლება(საშუალო სკოლა)

1.3 საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

1.4 არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5 საწარმოს არ გააჩნია ფილიალები.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 კომპანიის მიერ, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

2.2 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება.

2.3 კომპანია წინა საანგარიშო პერიოდში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.5 კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

2.6 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეული იქნა.

- 2.7 მოგების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.
- 2.8 კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მოდელით.
- 2.9 მიღებული დივიდენდი კლასიფიცირებულია, როგორც საინვესტიციო ფულადი ნაკადები, ხოლო გაცემული დივიდენდები, როგორც ფინანსური ოპერაციები.
- 2.10 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულებების მოდელს. ბარტერიტა და უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით.
- 2.11 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით:
- ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.
- 2.12 საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს, საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).
- 2.13 სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.
- 2.14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.
- 2.15 სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.
- 2.16 ბანკის სესხები საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შენიშვნა: ანგარიშგების და აუდიტის სამსახურის ზედამხედველობის სამსახურის #112065 18.07.2024 ბრძანება, გაცნობებთ რომ ციფრულ ფორმებში აღნიშნულ ბალანსში არსებული ნულები საწარმოს არ გააჩნია.

**შ.პ.ს. „თანამედროვე განათლების აკადემი“-ის
გენერალური დირექტორი ლევან ჯაფარიძე**

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ლარი)			
	შენიშვნა	2023	2022
აქტივები:			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები		1172573	499376
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		9256	5950
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		63209	55553
სულ მიმდინარე აქტივები		1245038	560879
ძირითადი საშუალებები		3852175	3950621
არამატერიალური აქტივები		4166	4882
სულ გრძელვადიანი აქტივები			3955503
სულ აქტივები		5101379	4516382
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		30782	18399
სხვა ვალდებულებები		386478	230113
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		26620	909
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		443880	249621
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		443880	249621
საკუთარი კაპიტალი			
სხვა რეზერვები		36187	36187
საწესდებო კაპიტალი		159900	159900
გადაფასების რეზერვი		3287070	3287070
გაუნაწილებელი მოგება(ზარალი)		1174343	783604
სულ საკუთარი კაპიტალი		4657499	4266761
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		5101379	4516382

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარი)				
	საწესდებო კაპიტალი	რეზერვები და გადაფასება	გაუნაწილებ ელი მოგება	სულ
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	159900	3323256	486968	3970124
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			506643	506643
გაცემული დივიდენდი			-210006	-210006
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	159900	3323256	783605	4266761
წლის მთლიანი სრული			601264	601264

შემოსავალი				
გაცემული დივიდენდი			-210526	-210526
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	159900	3323256	1174343	4657499

შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნები	საანგარიშო პერიოდი 2023 წელი	საანგარიშო პერიოდი 2022 წელი
ამონაგები		3294533	2669953
საერთომოგება		3294533	2669953
კომერციული დანახარჯები		774744	522901
ადმინისტრაციული ხარჯები (ხელფასი)		1729462	1445938
სხვა საოპერაციო ხარჯები (ცვეთა)		149375	148932
საოპერაციო მოგება			552182
არასაოპერაციო ხარჯები (კურსთა შორის სხვაობა)		2536	
საპროცენტო ხარჯი			8387
მოგება დაბეგვრამდე			543795
მოგების გადასახადის ხარჯი		37152	37152
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		601264	506643
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		783604	486967
მოგების განაწილება დივიდენდის სახით		210526	210006
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1177842	783604

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა		
ამონაგები	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	3242327	2589323
სხვა საოპერაციო შემოსავალი	52206	48965
სულ	3294533	2638288

შენიშვნა		
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	2023	2022
შრომის ანაზღაურება	1729462	1445938
საპენსიო დანარიცხები	23403	19432
კომუნიკაციის ხარჯები	14029	14198
საგადასახადო ხარჯები(მიწა ,ქონება)	39067	39988
რემონტის ხარჯები	62449	28774
ცვეთა და ამორტიზაცია	149375	148932
კომუნალური ხარჯი	91362	80697
საბანკო ხარჯი	1434	1197
კვების ხარჯი	222000	172250
სხვა საერთო ხარჯები	317277	135833
სულ	2649857	2087239

შენიშვნა		
ფინანსური შემოსავალი	2023	2022
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		31665
სულ		31665
შენიშვნა		
ფინანსური ხარჯი	2023	2022
საპროცენტო ხარჯები		8387
არასაოპერაციო ზარალი	6255	8961
მოგების გადასახადის ხარჯი	37152	37152
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		21571
სულ	76071	43407

შენიშვნა										
ძირითადი საშუალებები	შენიშვნა - ნაგებობა	არასასო ფლო მიწა	მანქანა დანადგა რები	ოფისის აქლუვ	კომპიუ ტერულ	ავეჯი	ინვენტა რი	ტრანსპო რტი	არამატე რიალურ	წიგნები
ღირებულება 2022 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	3648295	192260	16471	37477	40694	41511	32209	1138	5724	25562
დამატება				6375	28392	21620	6830			1207
გასვლა	109755		3424	8492	11127	9438	6935	228	842	21
ღირებულება 2023 წლის 01 იანვრისთვის	3538540 -	192260	13047	35360	57959	53693	32104	910	4882	26748
დამატება			8080	5687	9747	21484	1905			6459
გასვლა	106447		2879	7857	13966	13138	6611	910	716	
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	3432093	192260	18248	33190	53740	62039	27398	0	4166	33207

შენიშვნა	2023	2022
ფული და ფულის ეკვივალენტები		
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1154411	499376
აშშ დოლარი USD რეზიდენტ ბანკში	18162	
სულ	1172573	499376
შენიშვნა		
მარაგები	2023	2022
სასაქონლო მატ. მარაგი	63209	55553
სულ	63209	55553